

ხელშეკრულება

თბილისი

----- 202--წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს “პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია” (შემდგომში “თსა”), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირინე შოთაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, -----
----- (შემდგომში “სტუდენტი”) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია თსა-სა და სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულირება.

2. მხარეთა გარანტიები

- 2.1. მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და მიიღონ ყველა შესაძლო ზომა ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის.
- 2.2. წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ და წარმოადგენს მათთვის შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. თსა ვალდებულია:

- 3.1.1 უზრუნველყოს სტუდენტი სწავლების მაღალი ხარისხით და სათანადო პირობებით, მათ შორის სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, კლინიკური და ლაბორატორიული ბაზებით და რესურსებით;
- 3.1.2 დააკომპლექტოს თსა კვალიფიციური პედაგოგებით;
- 3.1.3 შეუქმნას სტუდენტს სათანადო განათლების მიღებისა და ობიექტური შეფასების პირობები;
- 3.1.4 უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც დაუშვებელია დისკრიმინაცია ნებისმიერი მოტივით. დაიცვას თსა-ს „სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები.“
- 3.1.5 უზრუნველყოს სტუდენტის აკადემიური თავისუფლება.
- 3.1.6 ხელი შეუწყოს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმას;
- 3.1.7 თსა-ს საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები (მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, შეფასების სისტემა, ქცევის კოდექსი და სხვ.) ხელმისაწვდომი გახადოს სტუდენტისთვის, ხოლო აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, უზრუნველყოს განახლებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა.
- 3.1.8 საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში (360 (სამას სამოცი) კრედიტის დაგროვება) მიანიჭოს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი.
- 3.1.9 ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით, თსა-ს მარეგულირებელი დოკუმენტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3.2 თსა-ს აქვს უფლება:

- 3.2.1 მოსთხოვოს სტუდენტს საქართველოს კანონმდებლობით, თსა-ს დებულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით და თსა-ს სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- 3.2.2 მოსთხოვოს სტუდენტს ფინანსური ვალდებულების შესრულება;
- 3.2.3 მოსთხოვოს სტუდენტს თსა-ს საქმიანი რეპუტაციის და პრესტიჟის დაცვა.
- 3.2.4 შეუჩეროს/შეუწყვიტოს სტუდენტს სტატუსი თსა-ს მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- 3.2.5 უარი განუცხადოს სტუდენტს სწავლის დასრულების დოკუმენტის (დიპლომი) გაცემაზე, თუ სტუდენტის მხრიდან არსებობს რაიმე სახის დავალიანება თსა-ს წინაშე.

3.2.6 გამოიყენოს სტუდენტის მიმართ წახალისების ღონისძიებები „ქცევის კოდექსის“ ან/და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.

3.2.7 გამოიყენოს სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები თსა-ს „ქცევის კოდექსის“ ან/და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.

3.3. სტუდენტი ვალდებულია:

3.3.1 გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დადგენილ ვადებში.

3.3.2 დაესწროს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს, კეთილსინდისიერად შეასრულოს სწავლასთან დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებები;

3.3.3 სწავლის/კვლევის პროცესში არ დაუშვას პლაგიატი.

3.3.4 სისტემატურად შეამოწმოს „სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში“ პირადი გვერდი (students.tma.edu.ge), მათ შორის დააფიქსიროს/განაახლოს პირადი მონაცემები, გაეცნოს თსა-ს ადმინისტრაციის და პედაგოგის მიერ გამოგზავნილ დავალებას/შეტყობინებას/აქტებს, როგორც შესასრულებლად სავალდებულოს.

3.3.5 „სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში“ დაიცვას საკუთარი მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობა, უსაფრთხოდ შეინახოს და არ დაუშვას მესამე პირთათვის გადაცემა.

3.3.6 არ განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო სამართლის დარღვევად, მათ შორის საავტორო უფლებების დარღვევა ან ნებისმიერი განზრახ ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს „სასწავლო პროცესის მართვის სისტემის“ ნორმალურ ფუნქციონირებაში შეფერხება;

3.3.7 პედაგოგის მიერ „სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში“ მონაცემების არასწორად დაფიქსირების შემთხვევაში აცნობოს ადმინისტრატორს წერილობითი ფორმით;

3.3.8 „სასწავლო პროცესის მართვის სისტემის“ ფუნქციონირებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრატორს.

3.3.9 უზრუნველყოს თსა-ს კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, არ შეუქმნას საფრთხე სხვის უფლებებსა და ჯანმრთელობას; ზიანის დადგომის შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

3.3.10 დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანატს საკონტაქტო ტელეფონისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ;

3.3.11 დადგენილ ვადაში გადაიხადოს სწავლის საფასური;

3.3.12 განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, თსა-ს დებულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით და თსა-ს სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები და სტუდენტის სწავლის პერიოდში გამოცემული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

3.4. სტუდენტს უფლება აქვს:

3.4.1 მიიღოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია თსა-ში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ;

3.4.2 მოითხოვოს შეხვედრა ლექტორთან, დეკანთან, რექტორთან, აგრეთვე თსა-ს სხვა იმ პერსონალთან, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან.

3.4.3 მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და აკადემიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგი/მიმდინარე შეფასება.

3.4.4 ისარგებლოს თსა-ს მიერ შეთავაზებული მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, კლინიკური, ლაბორატორიული და სხვა რესურსებით;

3.4.5 მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია დეკანატიდან საგანმანათლებლო პროგრამების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე.

3.4.6 ისარგებლოს აკადემიის მიერ მინიჭებული აკადემიური თავისუფლებით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში;

3.4.7 ისარგებლოს თსა-ს მიერ და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

4. სწავლის საფასური და მისი გადახდის წესი

- 4.1 სწავლის საფასური თითოეული სასწავლო წლისათვის შეადგენს ----- (-----) ლარს და არ იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, გარდა შემდეგი შემთხვევისა:
- გარემოებების არსებითი ცვლილების დროს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილება, რომელიც „აკადემიისათვის“ სწავლების ხარჯის ზრდას იწვევს, შეიძლება გახდეს „აკადემიის“ მხრიდან სწავლის საფასურის ცალმხრივად გადახედვის საფუძველი. ამასთან, ამგვარი ზრდა შესაძლებელია განხორციელდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ და არაუმეტეს მიმდინარე წლის სწავლის საფასურის 10%-ის ოდენობით.
- 4.2 თუ „სტუდენტი“ ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდეგ სასწავლო წლის დაწყებამდე განაცხადებს უარს სწავლის დაწყებაზე, სწავლის საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო სწავლის წლიური საფასურის (-----) 10%-ის ოდენობით.
- 4.3 სტუდენტი, რომელსაც მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო, სოციალური ან სხვა ტიპის გრანტი, იხდის სხვაობას სწავლის საფასურსა და მოპოვებული გრანტის ოდენობას შორის, წინამდებარე ხელშეკრულების 4.6. პუნქტით დადგენილი პროპორციითა და ვადებში.
- 4.4 სახელმწიფო გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, სწავლის საფასურს სრულად ფარავს სტუდენტი.
- 4.5 სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ნაღდი ანგარიშსწორებაც.
- 4.6 პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება შემდეგნაირად:
- *სწავლის საფასურის 50% გადაიხდება ადმინისტრაციულ რეგისტრაციამდე;
 - *სწავლის საფასურის 50% გადაიხდება მომდევნო სემესტრის სასწავლო წლის რეგლამენტით განსაზღვრულ დაწყების თარიღამდე.
- მეორე და შემდგომ სასწავლო წლებში სწავლის საფასურის გადახდა ხდება 2 ნაწილად (50%-50%), ყოველი სემესტრის დაწყებამდე, სასწავლო წლის რეგლამენტის შესაბამისად.
- 4.7 სწავლის დაწყებიდან ორი კვირის მანძილზე სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს მეცადინეობებს და მიიღოს შეფასებები. თუ სტუდენტი სწავლის საფასურს არ გადაიხდის სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, სწავლის დაწყების მესამე კვირიდან სტუდენტი დაიბლოკება „სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში“ მომდევნო ორი კვირის ვადით, რის შედეგადაც ვერ მიიღებს შეფასებებს. ხოლო თუ არც ამ ვადის განმავლობაში (მე-3-4 სასწავლო კვირა) არ გადაიხდის სწავლის საფასურს, თსა უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტატუსი.
- 4.8 სტუდენტი უფლებამოსილია ვადაზე ადრე დაფაროს სწავლის საფასური.
- 4.9 სწავლის საფასურის გადახდა დარჩენილი სასწავლო კურსებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების ღირებულების დაანგარიშების გზით. სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დარჩენილი სასწავლო კურსის საფასური სასწავლო კურსის დაწყებამდე.
- 4.10 სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკით. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მიმართოს საფინანსო სამსახურს სწავლის დაწყებამდე, შეავსოს განცხადება და მიუთითოს გადახდის სასურველი გრაფიკი.
- 4.11 სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა წარმოადგენს სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ საფუძველს. სტუდენტი ვალდებულია სრულად დაფაროს დავალიანება სტატუსის აღდგენამდე.
- 4.12 „სტუდენტის“ მიერ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, მასთან დადებული ხელშეკრულება განახლდება იმავე პირობებით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 4.1-ში მითითებული შემთხვევისა.
- 4.13 სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტის მიერ წინსწრებით გადახდილი მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური (რომლის მომსახურებაც ჯერ არ იქნა გაწეული) ჩაეთვლება მიმდინარე სემესტრისთვის გადახდილად.
- 4.14 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, თსა უფლებამოსილია სტუდენტისგან მოითხოვოს სწავლის საფასურის დავალიანების დაფარვა.
- 4.15 მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება ჩარიცხვისას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის მიხედვით, ასათვისებელი კრედიტების შესაბამისად.
- 4.16 სტუდენტის მობილობის შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

- 4.17 სტატუსშეჩერებულ სტუდენტს, მოთხოვნის შემდეგ, უბრუნდება გადახდილი სწავლის საფასური შემდეგი წესის შესაბამისად: თუ სტუდენტი შეიჩერებს სტატუსს სწავლის დაწყებიდან პირველ თვეში, მას გადახდილი სწავლის საფასურიდან დაუკავდება სწავლის წლიური საფასურის 10%. ყოველ მომდევნო თვეში სტატუსის შეჩერება გამოიწვევს დაკავებული სწავლის წლიური საფასურის 10%-ით ზრდას.
- 4.18 სტატუსშეწყვეტილ სტუდენტს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.
- 4.19 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლიდან გამონაკლის შემთხვევებს განიხილავს სათანადო კომიტეტი.

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1 ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება შეიძლება შეჩერდეს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გაუთვალისწინებელი (ფორს-მაჟორული) შემთხვევების პირობებში.
- 5.2 ხელშეკრულების ვალდებულებების ირგვლივ სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლოს წესით.
- 5.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.
- 5.4 თსა-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და სწავლის საფასურის გადახდის წესი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს მათ შინაარსს და ეთანხმება.
- 5.5 „სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში“ თსა-ს მიერ გაგზავნილ შეტყობინებებზე (განკარგულება, ბრძანება, წესი, მარეგულირებელი დოკუმენტი და სხვ.) ღილაკის - „ვეთანხმები“ - მონიშვნა გულისხმობს სტუდენტის მიერ ოფიციალურ გაცნობას და თანხმობას და აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა.
- 5.6 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სტუდენტი ადასტურებს, რომ თსა-ს მიერ ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინება იურიდიული ძალის მქონეა და არის შესასრულებლად სავალდებულო.
- 5.7 ხელშეკრულება ფორმდება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

6. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

თსა

შპს „პეტრე შოთაძის სახელობის
თბილისის სამედიცინო აკადემია“

ს/კოდი: 204861961

მისამართი: ქ. წამებულის გამზ. 51/2

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი - ა/ა: GE09BG000000624481701

დირექტორი

----- ი. შოთაძე

„სტუდენტი“:

სახელი, გვარი, პირადი ნომერი -----

მისამართი -----

ტელეფონი -----

ელ. ფოსტა -----

ხელმოწერა:
